# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

5 სექტემბერი
ხუთშაბათი
2024 წელი
№36 (9350)
ფასი 40 თეთრი


## უმუშევრობა ისტორიულ მინიმუმზეა დაყვანილი

მეორე კვარტლის მონაცემებით, უმუშევრობა არის ისტორიულ მინიმუმზე, დაფიქსირდა 13,7 პროცენტი, შარშან ანალოგიურ პერიოდში უმუშევრობა შეადგენდა 16,7 პროცენტს, ეს ნიშნავს იმას, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი შემცირდა 3 პროცენტული პუნქტით, რაც არის განსაკუთრებული პრიორიტეტი ჩვენთვის. დაქირავებულ დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 19 100 ადამიანით. თვითდასაქმებულთა რაოდენობა - 41,300-ით. ერთი წლის განმავლობაში შეიქმნა 60 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, რაც არის მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგი. წინა სამი წლის განმავლობაში ჩვენ საშუალო ეკონომიკური ზრდა გვქონდა 9,7 პროცენტი, წელსაც ვინარჩუნებთ 9 პროცენტიან მაჩვენებელს და ვფიქრობთ, წლის ბოლოს გვექნება ძალიან კარგი მაჩვენებელი ამ კუთხით. რა თქმა უნდა, სწორედ ეკონომიკური ზრდა არის მთავარი ფაქტორი, რომელიც იძლევა უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის საშუალებას. მეტი დასაქმებული ნიშნავს ბიუჯეტში შეტანილ მეტ გადასახადს, რაც მთავრობას მისცემს მეტი პროექტის განხორციელებას, ასევე არსებული პროგრამების გაფართოების საშუალებას. მომავალშიც ეს დარჩება ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად, - განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

## აქტუალური ინტერვიუ
# საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით უნდა გაიმარჯვოს!



**26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნებია. ქვეყანაში საარჩევნო ციებ-ცხელება პიკს აღწევს. 20 აგვისტოს „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კომპანია დაიწყო. პირველი ხალხმრავალი შეკრება მცხეთაში გაიმართა, სადაც სხვა ლიდერებთან ერთად სიტყვით გამოვიდა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, რომლის მთავარი გზავნილი არჩევნებში ქუდზე კაცის გამოსვლისაკენ მოწოდება იყო, რათა „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს, რაც იმის საფუძველი იქნება, გაასამართლონ დამნაშავე ნაცმოძრაობა, რომელსაც უამრავი დანაშაული მიუძღვის სამშობლოს და ხალხის წინაშე და დღესაც საქართველოს და ხალხს ომისა და არეულობისაკენ მოუწოდებს. არადა, თუ ქვეყნის გაერთიანება, განვითარება და წინსვლა უნდა, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში უნდა მოიპოვოს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანამ მიაღწიოს სიმშვიდეს და წარმატებით გადაწყვიტოს ის პრობლემები, რომლებიც არცთუ მცირეა ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ამომრჩეველმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს თუ მშვიდობას, ირჩევს მორალურ დეგრადაციას თუ ტრადიციულ ფასეულობებს, ირჩევს გარე ძალებზე საქართველოს მონურ მორჩილებას თუ ირჩევს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს.**

**თუ როგორი ხელშესახები წარმატებით ხვდებიან საპარლამენტო არჩევნებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის ავანგარდში მყოფი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ამის თაობაზე გვესაუბრება ბორჯომის მუნიციპალიტეტის პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბატონი ოთარ არბოლიშვილი.**

- ბორჯომელი ამომრჩევლის სახელით შემიძლია განვაცხადო, რომ 26 ოქრომბერს საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობა მხარს დაუჭერს ,,ქართულ ოცნებას“. ერთხელ და სამუდამოდ ეროვნული სუვერენიტეტის იდეამ, გრძელვადიანმა მშვიდობამ და უსაფრთხოებამ უნდა გაიმარჯვოს. გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობით



გამარჯვება, ველით საზოგადოების დიდ მხარდაჭერას, რათა უპირველესად გვჭირდება პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება, რაც ,,ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოშორების გარეშე შეუძლებელი იქნება. ჩვენთვის ამომრჩეველთა უმრავლესობის ხმა იქნება ერთგვარი დაკვეთა, რითაც სამართლებრივი შეფასება მიეცემა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებებს.

**(გაგრძელება მეორე გვერდზე)**

## პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოში



29 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლოში დაიწყო ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის შეჩერებასა და გაუქმებასთან დაკავშირებული სარჩელების ერთობლიობის განხილვა, რომელსაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სრული შემადგენლობა განიხილავს. პროცესზე ოთხი სარჩელია წარმოდგენილი, მათ შორის პრეზიდენტის, რომელიც მიიჩნევს, რომ კანონის სხვადასხვა მუხლი არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას; მთლიანი კანონი კი ეწინააღმდეგება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე საკონსტიტუციო ჩანაწერს. ასევე განიხილება 122 მოსარჩელის სარჩელი, რომელთა შორისაც არიან არასამთავრობო და მედიაორგანიზაციები, რომელთა აზრითაც, ე.წ. აგენტების კანონის სხვადასხვა მუხლი არღვევს ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების უფლებას და ეწინააღმდეგება გაერთიანების შექმნის შესახებ კონსტიტუციურ ჩანაწერს. ცალკე სარჩელები აქვთ შეტანილი 38 ოპოზიციურ დეპუტატს და ორ მედიაორგანიზაციას.

მოსარჩელეთა არგუმენტაციით, სადავოდ გამხდარი კანონი, მასში გამოყენებული ტერმინოლოგიითა თუ სხვადასხვა რეპრესიული მექანიზმის გათვალისწინებით, იწვევს სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების სტიგმატიზაციას, მათი საქმიანობისათვის ხელშეშლას, დასახული მიზნების მიღწევის შეუძლებლობას და, საბოლოო ჯამში, მათი ფუნქციონირების შეფერხებას ან შეწყვეტას.

## მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად?

**27 აგვისტოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძისგან ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება ეკლესიას მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას სთავაზობდა.** ამას ეკლესიის წარმომადგენლების საკმაოდ კრიტიკული შეფასებები მოჰყვა. 27 აგვისტოს ეს ცნობა ირიბად დადასტურდა: ,,არავითარი საფუძველი არ არის, რომ ის სამართლებრივი მოდელი, რაც დღეს არსებობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, შეიცვალოს“, - განაცხადა საპატრიარქოს პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ. ,,საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება არსებითად გულისხმობს ეკლესიის ინსტიტუციურ დაქვემდებარებას სახელმწიფო ხელისუფლებისადმი“, - ეს კი დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის ზენონის შეფასებაა. მოგვიანებით, გურიაში ამომრჩეველთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილმა თქვა: **,,მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსულტაციები წარმატებით დასრულდა, საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებლობის, როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის მისია მკაფიოდ აისახება“. მას სახელმწიფო რელიგია აღარ უხსენებია. მანამდე საპატრიარქოში გაიმართა ამ საკითხზე შეხვედრა, რომლის დასრულების შემდეგ ჯაღმაიძემ განაცხადა: ,,რადგან საკონსტიტუციო ჩანაწერზეა საუბარი, საბოლოო ფორმის დაჩქარებულად მიღება ძალიან რთულია. პრინციპი ერთი, რომ სახელმწიფო ეკლესიის გარეშე არანაირ ჩანაწერს არ შეიტანს. პრინციპი მეორე - ამას არ ექნება სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ფორმა. პრინციპი მესამე - იქნება საკონსტიტუციო ჩანაწერი, რომელიც ეკლესიის როლს გაამყარებს და გაზრდის“.**

## დღესასწაული სოფელ ტაბაწყურში



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაწყურში, სოფლის დღესასწაული აღინიშნა. ,,ტაბაწყურობა“-ს ადგილობრივების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.**

ადგილობრივებს სიტყვით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა, **ოთარ არბოლიშვილმა** მიმართა.

-,,ჩემო ძვირფასო ტაბაწყურელებო, გილოცავთ სოფლის დღესასწაულს! სოფელი ტაბაწყური თავისი უნიკალური მდებარეობით, მართლაც რომ საქართველოს ერთ-ერთი მარგალიტია. ჩვენმა გუნდმა ტაბაწყურის თემში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება. ჩემი სურვილია, რომ სოფლის დღესასწაულის აღნიშვნა ტრადიციად იქცეს და მომავალში უფრო მასშტაბურად აღინიშნოს”- განაცხადა ოთარ არბოლიშვილმა.

,,ტაბაწყურობა”-ს სოფლის მცხოვრებლებთან ერთად ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი** და მისი მოადგილე **მამუკა ხითარიშვილი** ესწრებოდნენ.

## ინფრასტრუქტურული პროექტები მოქმედებაში



**სოფელ ყვიბისში** ,,კვახიან ღელეზე” ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია.

პროექტის მიხედვით, ორივე მხარეს, ჯამში 211 მეტრზე რკინა-ბეტონის ნაპირდამცავი კედელი მოეწყობა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 332 800 ლარია გამოყოფილი.

აღსანიშნავია, რომ ღელე ადგილობრივი მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი იყო, რადგან უხვი ნალექის გამო დიდდებოდა და კალაპოტიდან გადმოდიოდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, მიმდინარე წელსაც არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას გეგმავს.



**ბაკურიანში,** ,,კრისტალის“ საკურორტო ზონაში ექსტრიმის მოყვარულთათვის ტურისტებს სიახლე ელით. ,,კრისტალის“ მრავალფეროვან სერვისებს დაემატა კიდევ ერთი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი - ტობოგანი, რომელიც ზღვის დონიდან 2369 მეტრზე მდებარეობს და მისი სიგრძე 1500 მეტრია. ტობოგანი კრისტალის მეორე საბაგიროს მიმდებარედაა აგებული. ტობოგანი ახალი გახსნილია და უკვე აქტიურად მასპინძლობს ადგილობრივსა და უცხოელ სტუმრებს. ტობოგანით სარგებლობისას განუმეორებელი შთაბეჭდილებები გარანტირებულია, ასევე საოცარი პანორმული ხედებით ტკბობა.

# საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით უნდა გაიმარჯვოს!

**(გაგრძელება)**

ბორჯომელ ამომრჩეველს კარგად მოეხსენება ,,ქართული ოცნების“ მიერ ქვეყანაში და კერძოდ, ბორჯომში განხორციელებული პროგრამები, რომლებიც განვითარებას, აღმშენებლობას და მშვიდობას უზრუნველყოფს, ხოლო ,,ნაცმოძრაობა“ სახელმწიფოს მტრობს და უცხოურ ინტერესებს ემსახურება.

**ბატონო ოთარ, იქნებ დაგვიკონკრეტოთ 2018 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე განვლილ პერიოდში, რა გაკეთდა ბორჯომში, რა ხელშესახები წარმატებები მოვიპოვეთ მუნიციპალიტეტის წინსვლაში?**

- განვლილი ოთხი წელიწადი ჩვენი ქვეყნისათვის უპირველესად იყო მშვიდობის, შემოქმედებითი საქმიანობის, აღმშენებლობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების პერიოდი.

შემიძლია ციფრებზე დაყრდნობით გავაანალიზო ბორჯომის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები. მარტო 2023 წელს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით 18,4 მილიონი ლარი დაიხარჯა, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან 7 მილიონი ლარი გამოიყო, რეგიონული განვითარების ფონდიდან - 6,3 მილიონი ლარი, მთის ფონდიდან -604 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის ფონდიდან - 408 ათასი ლარი, განახლებული რეგიონების პროგრამისათვის - 1,5 მილიონი ლარი, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის - 2,5 მილიონი ლარი, გარდა ამისა, გარკვეული თანხები დაიხარჯა სკოლების რეაბილიტაციისათვის, კეთილმოეწყო დაბა-სოფლების შიდა გზები, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციისათვის და ფასადების განახლებისათვის დაიხარჯა 2,5 მილიოონზე მეტი ლარი.

დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა ბაკურიანის პარკისა და სხვა ობიექტების განახლებისათვის, ხოლო ბორჯომში დამთავრდა კოსტავას მოედნისა და პარკის რეაბილიტაცია, რისთვისაც 1,4 მილიონი ლარი დაიხარჯა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 35 პროექტი, რისთვისაც გამოიყო 1,2 მილიონი ლარი. აღდგა ხიდები, გარე განათების სისტემა, სანიაღვრე და სარწყავი სისტემები, მგზავრთა მოსაცდელები. დასრულდა რობაქიძის ქუჩაზე მდინარე მტკვრის მიერ დაზიანებული ნაპირსამაგრი კედლის აღდგენა, რისთვისაც დაახლოებით 4 მილიონი ლარი გამოიყო და სხვა.

არანაკლებ შთამბეჭდავია მუნიციპალიტეტისათვის 2024 წელი. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ წლის ბოლოსათვის მუნიციპალიტეტის განვითარების ბიუჯეტი 60 მილიონს გადააჭარბებს, ეს კი ჩვენი ხალხის უდავოდ დიდი გამარჯვებაა.

მიმდინარე წელი ნამდვილად აღმშენებლობის პერიოდია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, მთელი ქალაქი ხარაჩოებშია, წარმატებით მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩაზე მრავალსართულიანი ბინების გარე ფასადების რეაბილიტაცია, ბორჯომისა და ბაკურიანის საბავშვო ბაღების, მინწყლების ისტორიული პარკის, ერეკლეს ქუჩაზე 16 სართულიანი კორპუსის, ,,ციცინათელას“, რკინიგზის №6 და დვირის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

საგზაო სამუშაოებისათვის მიმდინარე წელს 7,2 მილიონი ლარია გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

წარმატებით მიმდინარეობს წაღვერის პარკის რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს 3 მილიონზე მეტი ლარი გამოიყო და 11 სოფელში სკვერების განახლებისათვის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 3,8 პროექტი განხორციელდება და 1,4 ათასი ლარი დაიხარჯება.

დაწყებულია და მომავალ წელს დასრულდება ბორჯომის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია. სულ სპორტულ მოედნებს მოხმარდება 3 მილიონამდე ლარი.

კულტურის სფეროში 720 ათასი ლარის სამუშაოები განხორციელდება და სხვა.

**როგორც ვიცით, მერია სერიოზულ თანხას ახმარს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, კონკრეტულად რას ხმარდება ეს თანხები?**

- მუნიციპალიტეტის მერიის და ,,ქართული ოცნების“ დიდი საზრუნავია მოსახლეობის სოციალური დაცვის მრავალრიცხოვანი პროექტების განხორციელება. სულ მერიაში სოციალური დახმარების 23 პროგრამაა დამტკიცებული, რომლებიც წარმატებით ხორციელდება. მარტო მიმდინარე წლის, შვიდ თვეში, სტაციონარული მომსახურება გაეწია 1344 პაციენტს, რისთვისაც მერიის მიერ გადახდილია 1168450 ლარი, მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ 183700 ლარი, 113 შშმ პირებზე 78800 ლარი გაიცა, 20 ახლადდაქორწინებულებზე 6 ათასი ლარი, მედიკამენტებისათვის 889 , ავადმყოფს გამოეყო 170478 ლარი, ონკოლოგიურ ავადმყოფებზე გამოიყო 250 ათასი ლარი. დახმარებები მიიღეს მარტოხელა დედებმა, კომუნალური გადასახადები



**№41**
**,,ქართული ოცნება“**
**მხოლოდ მშვიდობით ღირსებით კეთილდღეობით ევროპისაკენ!**



დავუფარეთ ასობით ხელმოკლე ოჯახს, ერთჯერადად დავეხმარეთ მთელ რიგ სოციალურად დაუცველებს.

**- მოქალაქეთა მხრიდან მერიაში შემოსულია 125 განცხადება, თხოვნა, წინადადება, მოქალაქეთა განცხადებების უმრავლესობა ეხება სოციალურ და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პრობლემებს.** შესაბამისმა სამსახურებმა შეისწავლა განცხადებებში მითითებული მოთხოვნები, შემუშავებულია შესაბამისი გრაფიკი მათი რეალიზაციისათვის. ამასთან კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ბევრ მოქალაქეს კიდეც გადავუწყვიტეთ საყოფაცხოვრებო პრობლემები, ბევრს საყრდენი კედელი, ზოგს სახლის სახურავი, კიბე, ღობე და ა.შ. შევუკეთეთ. ეს სამუშაოები წლის ბოლომდე გაგრძელდება, არცერთ მოქალაქეს უყურადღებოდ არ მივატოვებთ, ეს ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ფუნდამენტური მოთხოვნაა.

**საპარლამენტო არჩევნები თითოეული ჩვენთაგანისათვის დიდი გამოწვევაა და მისი ღირსეულად ჩატარებისათვის ქვეყანაში კარგახანია მზადება მიმდინარეობს. რა სამუშაოები ჩატარდა დღემდე ბორჯომის მუნიციპალიტეტში არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის, დარჩენილ პერიოდში რის გაკეთებას ვარაუდობთ?**

- საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადება კარგახანია დაწყებულია. სერიოზული პროგრამა, რომელიც შევიმუშავეთ, გეგმაზომიერად ხორციელდება, შეხვედრები ამომრჩევლებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან და შრომით კოლექტივებში მიძღვნილია ,,ქართული ოცნების“ სათაო ორგანიზაციიდან მიღებული დავალებების შესასრულებლად. მერიის ყოველდღიური მუშაობა განმსჭვალულია არჩევნების ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარებასთან. მიზნად დავისახეთ ამომრჩევლის და საზოგადოების არცერთი წევრის კითხვა, წინადადება უპასუხოდ არ დარჩეს. ობიექტური, სამართლიანი საუბრებით ვცდილობთ, მოქალაქეებს განვუმარტოთ ცენტრალური ხელისუფლების ამოცანების გადაწყვეტის სიკეთე. ხაზს ვუსვამთ ,,ქართული ოცნების“ მოწოდებას, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს **- ირჩევს ომს, თუ ირჩევს მშვიდობას, ირჩევს მორალურ დეგრადაციას, თუ ირჩევს ტრადიციულ ფასეულობებს, ირჩევს გარე ძალებზე საქართველოს მონურ დამოკიდებულებას თუ ირჩევს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, ირჩევს კოლექტიურ „ნაცმოძრაობას“ თუ ირჩევს პროგრესისაკენ მოწოდებულ „ქართულ ოცნებას“.**

**ამიტომ, როგორც „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, გადადეთ ყოველგვარი საქმიანობა და 26 ოქტომბერს ყველა მოდით საარჩევნო უბნებში და ხმა მიეცით „ქართულ ოცნებას“, რათა საპარლამენტო უმრავლესობაში არჩეულმა ჩვენმა დეპუტატებმა წარმატებით გადაწყვიტონ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური წინსვლის, მშვიდობიანი განვითარების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემები. ეს ამოცანები კი 26 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებამ უნდა დააგვირგვინოს.**

**ამიტომ მოგიწოდებთ, ქუდზე კაცი გამოდით საარჩევნო უბნებში და ხმა მიეცით „ქართულ ოცნებას“.**

**ყველამ გაითავისეთ დღევანდელი ხელისუფლების მოწოდება - საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებით წყდება ქართული ერის წინსვლისა და განვითარების ბედი.**

ესაუბრა **ვალერიან ლომიძე**

**პრობლემების კვალდაკვალ**

## ყველაზე დიდი ბრალი მოსახლეობას მიუძღვის

უკვე წლებია გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში სასმელი წყლის შეფერხებით მიწოდება და თუ ონკანებში წყალი სადმე მაინც მოედინება, იქაც სასმელად უვარგისია. მუნიციპალიტეტშივე არსებული დასახლება სოფელი ლიკანი და ე.წ. პურკომბინატის ბინები ბოლო რამდენიმე წელია ძლივს წყალს ეღირსა. აღნიშნულ დასახლებას წყალი გურამიშვილის ქუჩიდან, ახალი უბნის გავლით გაყვანილი ახალი მილებით მიეწოდება, თუმცა რად გინდათ? ამინდი აირევა თუ არა და იწვიმებს, ონკანში წყალი არათუ სასმელად, საერთოდ დასაბანადაც კი გამოუსადეგარია. რამდენიმე კვირის წინ, ალბათ, ყველას გახსოვთ, საღამოს საათებში, დილამდე რომ შეწყდა წყალი მთელი ქალაქის მასშტაბით. ჰოდა, იმავე საღამოს ბორჯომში არსებული ყველა მარკეტიდან სასმელი წყლის მარაგი სრულიად გაიყიდა. საბედნიეროდ, მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებულ რამდენიმე დასახლებას, საკუთარი სასმელი წყალი აქვს. მაგალითად, ჩარხისწყალზე ნიკოლაძის ქუჩის დასახლებას, ასევე სოფელ ლიკნის დასახლებას აქვს საკუთარი წყაროს წყალი. აღნიშნული მთის წყლების მსაგვსად წყაროს წყალი მოდიოდა გოგიას ციხის დასახლებაში, ე.წ. სასახლის ღელეში, სააკაძის ქუჩაზე და ა.შ. სანამ ქალაქში ცენტრალური წყალსადენი აშენდებოდა, მანამდე მუნიციპალიტეტის მასშტაბით იყო საკმარისი რაოდენობის ბუნებრივი სასმელი წყაროები, საიდანაც მოსახლეობას ქალაქის წყლის შეწყვეტის შემთხვევაში, სრულიად თავისუფლად შეეძლოთ სასმელი წყლის დეფიციტი შეუფერხებლად შეევსოთ არსებული წყაროებით. თუმცა, ზემოთ აღნიშნული წყაროებიდან დღეს მხოლოდ რამდენიმეა დარჩენილი და ალბათ, ისიც მოსახლეობის დიდი ძალისხმევით, რადგანაც მათ თავიდანვე დაიჭირეს თადარიგი და საკუთარ დასახლებებში არსებული უფასო წყლის რესურსი ისევ საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენეს და არ გააუქმეს. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ დიდი და პატარა სასტუმროების მფლობელები, რომელთა უმრავლესობასაც წყლის მარაგის ავზები არ აქვთ და რამდენიმე მფლობელებისაგან ისიც კი შევიტყვეთ, რომ დამსვენებლებმა რომ გაიგეს, მეორე დღემდე წყალი არ იქნებოდა, ჯავშანი გააუქმეს, თანხა აღარ გადაიხადეს და სასტუმრო დატოვესო.

მართლა სირცხვილია, ბორჯომში, კურორტზე, სადაც უმეტესწილად ზაფხულის პერიოდში მუშაობს ყველა სასტუმრო, ფაქტიურად, მთელი ორი დღის მანძილზე უწყლოდ დატოვეს ქალაქი? იმ დასახლებებში, სადაც არც წყაროს წყალი მოდიოდა და მოსახლეობამ ვერც მარკეტებში შეძლო ყიდვა, დადიოდნენ და სუფთა, სასმელ წყალს ურიგებდნენო, თუმცა ეს წყალი, როგორც ჩანს, საკანალიზაციო სისტემის ჩარეცხვას ნამდვილად არ ყოფნიდა და სამწუხაროდ, კიდევ უარესი უკიდურესობას გადააწყდა ქალაქი მეორე დღეს. მუნიციპალიტეტის უმეტეს ნაწილში საკანალიზაციო სისტემა გაიჭედა და მთელი დღის მანძილზე მუშაობდა შესაბამისი ბრიგადები. შუადღის პაპანაქება სიცხეში ქალაქის ცენტრი ფეკალიების სუნად ყარდა. გამვლელები ცხვირ-პირზე ხელებაფარებული დაიარებოდნენ, - ეს რა კოშმარია, ეს რა საშინელებააო-ს გაიძახოდნენ. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები იშვიათობას ნამდვილად აღარ წარმოადგენს, რადგანაც ბორჯომის უმეტეს დასახლებაში აღნიშნული სიტუაცია უკვე ყოველდღიურობად იქცა, ერთია ის, რომ როგორც ჩანს, მილები საკმარისი დიამეტრის არ არის, რადგანაც ასე ხშირად რატომ უნდა იქმნებოდეს პრობლემა საკანალიზაციო სისტემაში? გამოდის, რომ თავიდანვე დაუშვეს შეცდომა, როდესაც ახალი სისტემა გაიყვანეს, თუმცა, საბედნიეროდ ვერავინ იტყვის აუგს შესაბამის სამსახურზე, რომელიც დარეკვიდან სწრაფად მოდის ადგილზე და სამუშაოებსაც ასრულებს.

აი, აქ კი ყველაზე დიდი ბრალი თვითონ მოსახლეობას მიუძღვის, რომელსაც ვერ გაუგია, რომ საკვები ნარჩენები პირდაპირ უნიტაზში არ უნდა გადაუძახონ, ნაგავი უნდა დაახარისხონ და სანაგვე ურნაში უნდა გადაყარონ და არა უნიტაზში, რომელიც შემდგომში იწვევს მილების გაბიდვნას. ფეკალიები ქუჩებში და ცენტრალურ ტრასაზე მოედინება. ყველაზე მძიმედ, რასაც პირადად ჩემი საკუთარი თვალით ვხედავ ხოლმე, ლიკანში ე.წ. პურკომბინატის კორპუსებია, რომლის უკანაც კერძო სახლების დასახლებაცაა და ამ ორ კორპუსს შორის დღემუდამ საკანალიზაციო რუ მოედინება. მერე იწყება სჯა-ბაასი და ერთმანეთზე გადაბრალება, კორპუსის მოსახლეობის ბრალია ეს ყოველივე თუ კერძო სახლების მფლობელების? ეზოში ხომ ვერ ჩახვალთ ისეთი საშინელი სუნი და ანტისანიტარიაა ამის გამო. ერთი ფაქტი მახსენდება, საღამოს სამსახურიდან მისული მეზობლის აღშფოთებულ დიალოგს რომ შევესწარი, იმათ ლანძღავდა, ვინც მთელ-მთელი პომიდორები ჩაყარა საკანალიზაციო მილებში და სამუშაო ბრიგადამ გაწმენდისას ამოიღო. გაოგნებულები იყვნენ, კი მაგრამ, ან სირცხვილი სად აქვთ, ან ნორმალურ ჭკუათმყოფელ ადამიანს როგორ უნდა მიუვიდეს აზრად, რომ უნიტაზში მთელი ბოსტნეული ჩაყაროს? თუმცა, რას ერჩით, მართალია ჩემი მეზობელი ქალბატონი. დარწმუნებული ვარ, რომ სამეზობლოსათვის და მთელი ქალაქისათვის ასეთი მავნე და შეუფერებელი ადამიანები გამოვლენ მერე და მორალზე და ზრდილობაზე დაიწყებენ საუბარს.



**P.S. თითოეული ადამიანის ვალია, საკუთარი ქალაქის ღირსებას მოუფრთხილდეს, ხომ კარგად ვხედავთ, რომ ნებისმიერ დაუკვირვებელ ქმედებას ასეთ სავალალო შედეგებამდე მივყავართ. ყველა ჩვენგანმა უნდა გავითავისოთ, რომ ჩვენ ვართ მშობლიური ქალაქის სახე და ჩვენვე ვქმნით ქალაქის იმიჯს. რასაც დავთესთ, იმას ვიმკით და თუკი ქალაქის ღირსებას არ მოვუფრთხილდებით, არც სხვა გაუფრთხილდება.**

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

იუბილარი

# ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი პოლკოვნიკი



**- ბორჯომი ჩემი ბავშვობის, ყმაწვილკაცობის, ახალგაზრდობის და ახლა, როცა სიჭარმაგის წლები მომემატა, სულ უფრო და უფრო საყვარელი ქალაქი გახდა. წელიწადის ყველა დროს მიყვარს მის ქუჩებში და ბაღ-პარკებში სეირნობა, აქ მყავს ჩემი ყველაზე საყვარელი მეგობრები, მათ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, როცა ბორჯომში ჩამოსვლა დამაგვიანდება, ტელეფონით ვეკონტაქტები მეგობრებს და მათი ხმის გაგონება ჩემთვის სიცოცხლეზე მეტია, ხოლო როცა ბორჯომში ვარ, ის პერიოდი მეგობრებთან დაუვიწყარ დროსტარებასა და ახალგაზრდობის წლების მოგონებების გახსენებას ეძღვნება, სიცოცხლე მემატება, თუმცა სევდაც ახლავს ჩვენს შეხვედრებს. ბოლო წლებში ბევრი ძმებივით შეზრდილი მეგობრები წავიდნენ ამ ქვეყნად, მათი მოგონება ჩვენთვის ძალიან სევდიანი გასახსენებელია, - მითხრა კერძო საუბარში ბორჯომის კოლორიტული პიროვნების, ბატონ ოთარ ტაბატაძის შვილმა ნუგზარ ტაბატაძემ.**

**ზაფხულის** სიცხეებს თბილისს გამოერიდა და მშობლიურ ბორჯომს ეწვია, ძმისშვილები, ახლო ნათესავები, მეგობრები მოინახულა და ბორჯომის შესახებ შთაბეჭდილებები გამიზიარა. მახარებს მშობლიური ქალაქის სასიკეთო ფერისცვალება, ბევრი სიახლეა და ვხარობ ლამაზი ობიექტების ხილვით.

მე კი მისი განვლილი ცხოვრებით დავინტერესდი და ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე, ბევრი რამ მის შესახებ ზერელედ ვიცოდი და დავაზუსტე. ხუმრობა ხომ არაა, ბატონ ნუგზარს 5 სექტემბერს 75 წელი უსრულდება. საიუბილეო წელი ღირს გასახსენებლად.

სწავლობდა ბორჯომის №2 საშუალო სკოლაში, რომელიც 1966 წელს დაამთავრა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1973 წელს დაამთავრა და 2005 წლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, გაიარა გზა რიგითი გამომძიებლიდან საგამოძიებო სამმართველოს უფროსამდე. ბევრი უძილო ღამე და ფათერაკებით სავსე ცხოვრებით იცხოვრა. ვინ მოთვლის, კრიმინალებთან ბრძოლაში რამდენჯერ ჩაიგდო თავი ხიფათში, ბოლოს მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო. პოლიციის პოლკოვნიკის წოდებით გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

შესანიშნავი ოჯახი შექმნა. მეუღლე, ქალბატონი ლონდა ქარსელაძე პროფესიით პედაგოგია. შვილი ეკატერინე ჟურნალისტია, სიძე დავით კოლუაშვილი საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი გახლავთ, პროფესიით იურისტია. ამაყობს შვილიშვილებით - მერი კოლუაშვილმა სამხატვრო აკადემია დაამთავრა და ცნობილი დიზაინერია, გიორგი კოლუაშვილი ამერიკაში ცხოვრობს, კერძოდ ნიუ-იორკში, დაამთავრა ტენესის შტატის ქალაქ მენფისის კოლეჯი, იქვე შექმნა საკალათბურთო აკადემია, რომელსაც პირადად ხელმძღვანელობს, ხოლო შვილთაშვილი გიორგი კვერნაძე ჯერ მხოლოდ მოსწავლეა.

ხარობს ბატონი ნუგზარი განვლილი ცხოვრებით, ლამაზი ოჯახით, წარმატებული შთამომავლებით და მეგობრებით. მასთან საუბარი და მოლხენა ერთ რამედ ღირს. ცნობილი თამადა უდავოდ განათლებული, წიგნიერი, მრავალი პატრიოტული ლექსის, იგავისა და ისტორიის მოყვარული პიროვნებაა, შესანიშნავად იცის სამშობლოს ისტორია, კარგად ერკვევა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკის თუ საზოგადოების განვითარების საკითხებში, შეჰხარის საქართველოს ბედნიერ მომავალს და ჯანმრთელი ეგებება თავის სიჭარმაგის 75 წლისთავს. ღმერთმა სიკეთე, სიხარული, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე არ მოაკლოს ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ პოლკოვნიკს.

**ვალერიან ლომიძე.**

# „ღამის სერენადები“ – ბორჯომში



**უკვე მეორე ზაფხულია, რაც ბორჯომი კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს „ღამის სერენადებს“ მასპინძლობს. ყველამ იცოდა, რომ 21 აგვისტოს განსაკუთრებული საღამო ელოდა მსმენელს, დასასწრებად ემზადებოდა ბორჯომის საზოგადოება და ქალაქის სტუმრები. ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“ და პირველი ვიოლინო - ლელა მჭედლიძე გამორჩეული პროფესიონალიზმით წარდგნენ მაყურებლის წინაშე.**

**ნინა ცაგარელი**, **ფესტივალის დორექტორი:** - საოცრად ემოციური გახსნა იყო ბორჯომში, არაჩვეულებრივი, თბილი მსმენელით. გაგრძელება ბათუმში იქნება, ხოლო შემდეგ დაგვირგვირგვინდება თბილისში.

**გიორგი ისაკაძე, ლიანა ისაკაძის ძმისშვილი და ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი:** - შესანიშნავი ქართველი და უცხოელი მუსიკოსები წარუდგნენ პუბლიკას. შესრულდა მრავალფეროვანი, ჟანრობრივად მდიდარი ნომრები და მოხარული ვარ, ასეთი დიდი ყურადღებით ადგილობრივი ქალაქის მესვეურთა მხრიდან.

**ოთარ არბოლიშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი:** - ძალიან გვიხარია, რომ ბორჯომში მეორე წელია აღდგა ლიანა ისაკაძის სახელობის მუსიკის დღეები და იმედი მაქვს, უკვე ყოველწლიურად ასეთი მაღალი დონის ფესტივალის გახსნას უმასპინძლებს ჩვენი ქალაქი..

**გიორგი ბუგიანიშვილი, ბორჯომის მერის მრჩეველი კულტურის საკითხებში**: - მოგესალმებით, ძალიან სასიხარულოა, როცა ბორჯომი ელოდება ზაფხულში, ამ საოცარ გარემოში საუკეთესო ფესტივალს. აქვე გულისტკივილით ვიტყვი, რომ წელს ორი დიდი დანაკლისი ჰქონდა სამუსიკო სფეროს: კომპოზიტორ, ვაჟა აზარაშვილისა და ფესტივალის დამფუძნებლის, ლიანა ისაკაძის გარდაცვალება. ეს აუწონავი დანაკლისია ქართული კულტურისათვის.

**მარიო სტეფანო პიეტროდარ**კი: - პირველად ვარ ბორჯომში, ამ შესანიშნავი წყლის ქალაქში. უზომოდ მიხარია ასეთი დახვედრა, საოცარი გარემო გაქვთ. დიდი მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს, რომ მოგვცა საშუალება მონაწილეობა მიგველო არაჩვეულებრივ კონცერტში, სავსე ვარ ემოციებით.

მართლაც, ძალიან ინდივიდუალური, საინტერესო პროგრამით ჩამოვიდნენ უცხოელი მუსიკოსები: - **მარიო სტეფანო პიეტროდარკი** - იტალიიდან, **ელვინ ხოჯა განიევ**ი, რომელიც ერთდროულად ორ ქვეყანას წარმოადგენდა: აზერბაიჯანსა და თურქეთს; ერთმანეთს ცვლიდა და საოცარ ჰარმონიას ქმნიდა თბილ, გრილ საღამოსთან, მწვანეში ჩაფლულ სასტუმრო „ბორჯომი-ლიკანის“ ეზო და ამ ვირტუოზების მიერ შესრულებული ხან მორიკონეს, ხან რუმინული ცეკვების, ხან კიდევ, ვივალდის „წელიწადის დროონი“. უდიდესი სიამოვნება იყო დამსწრე საზოგადოებისთვის მათი შესრულების სტილი - თავდავიწყებით გადაშვებული მუსიკის სამყაროში და როცა მთლიანად ეკუთვნი ინსტრუმენტს. ტაშიც ამიტომაც იყო უშურველი და დამსახურებული.

**ვოკალის კუთხით წარმოჩინდნენ ქართველი, ახალგაზრდა მომღერლები: მეცო სოპრანო - მარიამ კიკალეიშვილი**, რომელსაც ღელვა ხმაში ეტყობოდა, მაგრამ თითქოს იგრძნო მსმენელის მხარდაჭერა და რამდენიმე სიტყვაში მოძლიერდა, ფრთები შეესხა. ასევე ბორჯომში დებიუტი გამოუვიდა მარიამ ბუგიანიშვილს, რომლის არაჩვეულებრივი ვოკალი, დიაპაზონი უსმენო ადამიანისთვისაც შესამჩნევი გახდებოდა. მან ვაჟა აზარაშვილის დაუვიწყარი „დღეები მიდიან“ შეასრულა და მამასთან, მსმენელისთვის მოულოდნელი დუეტიც „სენტიმენტალური ტანგო“ შემოგვთავაზა.

დასასრულს, რა თქმა უნდა, ანსამბლმა „ბორჯომმა“ **გიორგი ბუგიანიშვილის** ხელმძღვანელობით დააგვირგვინა საღამო რევაზ ლაღიძის აღიარებული „თბილისო“-თი. ეს ხომ ენაა, რომელიც თანაბრად ესმის ქართველს და უცხოელ მუსიკოსებს.

**მონიკა ჭანტურია**

# ფერებში გადმოცემული სათქმელი



**ნინო ოყროშიძემ საკუთარი შემოქმედებით, ფანქრით შეძლო გაეცოცხლებინა ახალდაბის ულამაზესი ხედები. მისი ნახატები მნახველს უცბად პარავს წუთებს და იმ ადგილებში აღმოაჩენს, რომლებიც სულ სხვა ფიქრებისკენ წაგიღებს, შემდეგ ჯიუტად ცდილობ, ამოიცნო, რომელი ქუჩა თუ სახლი დაუხატავს მხატვარს, და როდესაც პარალელს ავლებ ნახატსა და ქუჩას შორის მსგავსებას, ფიქრს ხელოვანთან მიჰყავხარ.**

ნინო ყოველ ზაფხულს მამისეულ ახალდაბაში ატარებდა დროს და მეგობრებთან ერთად ძალიან ბევრს ხატავდა: - ახალდაბასთან საოცარი მოგონებები მაკავშირებს და სწორედ აქ, საყვარელ ადგილზე, საყვარელი საქმის კეთებამ მიმახვედრა, რომ ხატვა იყო ჩემი მოწოდება.

- ფერწერის ფაკულტეტზე სამხატვრო აკადემიაში დავიწყე სწავლა. სამხატვრო სახელოსნო ძველ კორპუსში მდებარეობდა. ის გარემო იმდენად მყუდრო იყო, რომ არასოდეს მსურდა იქიდან წამოსვლა, ამიტომაც, უმეტეს დროს სახელოსნოში ვატარებდი თანაკურსელებთან ერთად. მეორე კურსიდან ტექსტილის დიზაინზე გავაგრძელე სწავლა. გამიტაცა გობელენმა, თექამ. სხვა ბევრი მასალაც შევისწავლე. მოკლედ, მომწონდა, რასაც ყოველდღე ვაკეთებდი.

სწორედ აკადემიაში, პირველ კურსზე გაიცნო მისი მომავალი მეუღლე ირაკლი ანდრონიკაშვილი.

- მე და ირაკლი სულ ერთად მოვდივართ, ნახევარი ცხოვრება ერთად გავატარეთ. 15 წელია ერთად ვართ და მასთან ერთად გავიზარდე ასაკითაც, პიროვნულადაც და პროფესიულადაც.

ნინოს მეუღლე არქიტექტორია, ამიტომ არა მხოლოდ ცხოვრებისეულ, არამედ პროფესიულ იდეებსაც მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს. 3 შვილის მშობლები შვილებს - 14 წლის ანდრიას, 9 წლის ბარბარესა და 7 წლის გიორგის უდიდეს სიყვარულსა და სითბოში ზრდიან.

ფერმწერი, ტექსტილის დიზაინერი, პანდემიის პერიოდში გრაფიკოს მხატვრად იქცა.

- პანდემიის პერიოდში ყველაფერი გაჩერდა, აღარც საშუალება იყო, რომ ზეთებით ან საღებავებით მეხატა, ამიტომ, გადავედი ფანქარზე და ვიპოვე კიდეც ჩემი უახლოესი „მეგობარი“.

ხატვა ჩვენი რესპონდენტისათვის საშუალებაა უხმოდ გადმოსცეს ის, რასაც გრძნობს.

- ალბათ ყველა ადამიანს უნდა რაღაცის თქმა, რაც გულის სიღრმეშია ჩაფლული, ამ მხრივ მხატვარი „პრივილეგირებულია“, მას შეუძლია ნამუშევარში ასახოს ყოველი დეტალი, რასაც განიცდის. ხატვა მაცოცხლებს, ძალიან დიდ ენერგიას მაძლევს. უბრალოდ, ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე იმდენ დროს კიდევ ვერ ვუთმობ, რასაც ძალიან განვიცდი ხოლმე. სულ მოლოდინში ვარ, ღამით ბავშვებმა დაიძინონ, რომ მერე მე დავიკარგო ჩემს შემოქმედებაში.

მშობლების გირშელი ოყროშიძისა და მანანა კიკოლაშვილის გვერდით დგომით ნინოს 3 წლის ასაკიდან დაუწყია ხატვა. მთები, ლიანდაგები და მატარებელი დაუხატავს. გამოარჩევს ფერწერულ ნამუშევარს, რომელსაც „გზააბნეული“ ჰქვია. განსაკუთრებით უყვარს ახალდაბის ხედები, მიტოვებული სახლი, რომელიც მასში დიდ ემოციას იწვევს.

- დიდი სიყვარული და მოგონებები აკავშირებს ახალდაბასთან, სწორედ ასე, შემოქმედებით გადავწყვიტე გამეცოცხლებინა ჩემი ახალდაბა. ახალდაბისთვის ყველაფერს საუკეთესოს ვისურვებდი. მეც მინდა, რაღაც წვლილი შევიტანო მის განვითარებაში. სურვილიც მაქვს, რაიმე დიდი კედელი მოვხატო და სამახსოვროდ დარჩეს ჩემს ახალდაბას.

**რომელია შენთვის ახალდაბაში ყველაზე საყვარელი ადგილი?**

- ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ანძაზე ასვლა, ტყეში ყოფნა და ახლა ყველგან სიმშვიდეს ვგრძნობ ახალდაბაში, სადაც არ უნდა ვიყო ბორჯომის ისტორიული პარკი შეუდარებელ ადგილად მიმაჩნია.

**თქვენი საყვარელი სამი ფერი?**

- თეთრი, მწვანე და ოხრა.

**რაზე ოცნებობს მხატვარი?**

- ოცნება არ მიყვარს, ალბათ უფრო ფიქრი მიზიდავს. ამისთვის არის ჩემთვის ქაღალდი და ფანქარი და ყველაფერი ქაღლდზე გადმომაქვს. მნიშვნელობა არ აქვს, სად ვარ, ან გარშემო რამდენი ადამიანია, მომენტალურად სადღაც „ვიკარგები“, შეიძლება რომელიმე ნახატშიც კი...

**წელიწადის რომელი დრო გიყვართ?**

- შემოდგომა...

მხატვრისთვის ყველაზე დიდ ფუფუნებად გამოფენებში მონაწილეობა მიაჩნია, თუმცა თვლის, რომ ხშირად არ არის ამის საშუალება. აქამდე სულ რამდენიმე გამოფენაში მონაწილეობდა, მათგან ერთ-ერთი მისი პერსონალური გამოფენა იყო.

ნინოს საყვარელი მხატვარია - მონე, აღაფრთოვანებს მის ნამუშევრებში გამოყენებული ფერები, სიმშვიდე, ცოტა ქაოსიც და მშვენიერება. ამის პარალელურად კი მისი ნამუშევრები უმეტესად შავ-თეთრია, მშვიდი და კონკრეტული.

- ჩემი ცხოვრება ნამდვილად არ არის ისეთი შავ-თეთრი, როგორც ეს ჩემს ნამუშევრებში ჩანს, თუმცა ბავშვობიდან მუქ ფერებში ვხატავ, ალბათ ეს ის ემოციაა, რომელიც მთელი ცხოვრებაა ცდილობს ჩემი გულიდან თავის დაღწევას...

მოამზადა **იზა იანვარაშვილმა**

# სტუმრად ბიბლიოთეკაში

**ბორჯომის სარაიონო ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობს ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის იურიდიული მუზეუმის განათლებისა და ახალი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი მარიამ მარჯანიშვილი.**

მარიამს პირველ რიგში ვულოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს, მისი მადლი ფარავდეს უკეთილშობილეს, უნიჭიერეს ადამიანს.

მარიამი 2015 წლიდან ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორ ვახტანგ ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორია.

2015 წლიდან საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრი, ხოლო 2017 წლიდან საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრია, ამასთან 2019 წლიდან გაზეთ „უქიმერიონის“ რედკოლეგიაშია. მარიამი მრავალი ლიტერატურული კონკურსების გამარჯვებულია.

შარშან, სტუმრობისას გავარჩიეთ „დერჩის ქვების ღაღადისი“. იგი არის ავტოგრაფიული ნარკვევის რედაქტორი.

წიგნში საუბარია ქართველი მოქანდაკის წყალტუბოს რაიონის დერჩში დაბადებულ ქართველზე, რომელმაც მთელი ცხოვრება ქართული სულით, უცხო ერის სამსახურში გაატარა. „ნოდარ ბანძელაძე - ქართველი ხელოვანია - ქვაზე, თიხაზე, სპილენძსა და ბრინჯაოზე მუშაობს“, მის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრო მთავარმა ბიბლიოთეკარმა იზოლდა ლურსმანაშვილმა.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა **ნაირა ამანათაშვილმა** და ისაუბრა წიგნზე „ქალთა როლი ქუთაისის პერიოდიკაში“ (1881-1925) და უსურვა მარიამს მრავალი წიგნის გამოცემა.

მწერალი გვესაუბრა XIX საუკუნის ლიტერატურულ სალონებზე, რომელთა სულისჩამდგმელი ქართველი ქალები იყვნენ, გარკვეულ როლს თამაშობდნენ ქვეყნის ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში.

სიტყვით გამოვიდა მთავარი ბიბლიოთეკარი **ლუიზა გელაშვილი,** რომელმაც ისაუბრა ქართველი ქალის შესაძლებლობასა და ღირსებაზე.

ქართველ ქალზე საერთო მიმოხილვა გააკეთა ღონისძიებების კოორდინატორმა **ნანული სალაღაიამ.** რომელმაც ვრცლად ისაუბრა ქალის როლზე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ალექსანდრე დიუმა საქართველოში მოგზაურობისას აღფრთოვანებული იყო ქართველი ქალის სილამაზით.

დიდი მადლობა მარიამ მარჯანიშვილს ასეთი საინტერესო და დასამახსოვრებელი საუბრისათვის, იგი უზომოდ განათლებული, საყვარელი პიროვნებაა, კვლავაც სიყვარულით მოვუსმენთ.

კოორდინატორი **ნანული სალაღაია.**

## ვულოცავთ!
# ზაურ ებრალიძეს!



შს სამინისტროს თადარიგის პოლკოვნიკს, პენიტენციურ სისტემაში რიგი დაწესებულებების ხელშეუხებელ ხელმძღვანელს, ათასობით დამწუხრებული ადამიანების გულმხურვალე მხარდამჭერს და თანამგრძნობს, მეტად კოლორიტულ, განათლებულ და კულტურულ პიროვნებას, ბატონ ზაურ ებრალიძეს, ჩემს უძვირფასეს და ერთგულ უფროს მეგობარს, დაბადების 86 წელი შეუსრულდა. ამაგდარმა პიროვნებამ სამართალდამცველ ორგანოებში შეგნებული ცხოვრება შეუბღალავი რეპუტაციით იმსახურა. ბატონ ზაურს მეტად შესანატრი თვისებები ჰქონდა და აქვს. ადამიანის სიყვარული, ყველა ადამიანში სიკეთის მარცვალს, სიტყვებს, ძალასა და მადლს მთელი არსებით ხედავდა და დღესაც ასაკში შესული ტრადიციებს არ ღალატობს. ბატონ ზაურის უშუალო შეხება ჰქონდა სხვადასხვა კატეგორიის პატიმრებთან. მათ შორის, მძიმე დანაშაულებში ბრალდებულებთან. მაგრამ ყოველ პატიმართან ისეთი მიდგომა ჰქონდა, რომ ყველაზე აგრესიულ და გაბოროტებულ ადამიანებსაც კი გულს გაუთბობდა. ენდობოდა, პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ბევრჯერ თავისი თანამდებობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დაუყენებია, მაგრამ არასოდეს შემცდარა ადამიანში, თუნდაც პატიმარი ყოფილიყო. ბატონი ზაური, ეს მართლაც კოლორიტული პიროვნება, სხვისი სიხარულით ცხოვრობდა და დღესაც ასეა. უღალატო ადამიანს უამრავი დამფასებელი და პატივისმცემელი ჰყავს. მისგან სიკეთე მიღებულნი დღესაც არ ივიწყებენ, რადგან თუ ხარ პიროვნება, უნდა იყო დიდსულოვანი, კეთილშობილი, გულმოწყალე, ადამიანობის განსაკუთრებული ხიბლით. ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის უბადლო ნიჭით და ქარიზმით უნდა ემსახურო საზოგადოებას, ქვეყანას.

ბატონ ზაურს, ტრადიციული, წმინდა, შეუბღალავი ქართული ოჯახი აქვს, სადაც სიყვარულის, ერთობის, მეგობრობის, მოყვასის პატივისცემისა და თანადგომის ატმოსფეროა შექმნილი. ბედმა მას ღირსეული თანამეცხედრე არგუნა. მათ ოჯახში გაიზარდა ორი ქალიშვილი და ხუთი შვილიშვილი, რომლებიც ტრადიციული ქართული ცხოვრების მაგალითს იძლევიან. ადამიანი ერთხელ იბადება და შემდეგ, როცა უფალი ინებებს და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლებს, დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ იცხოვრე, როგორ გაიარე რთული გზა ცხოვრების ლაბირინთებში. ბატონ ზაურს ამაყად შეუძლია თქვას, არასოდეს შეურცხვენია ოჯახის, ქვეყნის, პოლიციის მაღალჩინოსნის სახელი, რაც შემეძლო და როგორც შევძელი, სიკეთეს ვთესდი, ვენდობოდი და მენდობოდნენ, დღესაც მაფასებენ და ცხოვრების, სიცოცხლის უნარს მძენენ.

ვუსურვოთ ბატონ ზაურ ამ შესანიშნავი გვარის ღირსეულ წარმომადგენელს დიდხანს სიცოცხლე, ქართული საზოგადოების დამსახურება და სიყვარული არასოდეს მოკლებოდეს.

**თემურ ხუხუნაიშვილი.**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

### პოეზიის კუთხე

## ძლიერი ქალი ხარ!





დღეს მე შენს ნაოჭებს შევცქერი,
ფიქრები შვებას არ მაცლიან,
ნაზებით დაღარულ მაგ სახეს,
სიამის კვალი არ ატყვია.
იქნება შენს ვაჟებს მოელი,
9 ძმა ხერხეულიძის დედა ხარ,
შვილები და ზარდე ვაჟკაცად,
ნატანჯი კვლავ მაინც მხნედა ხარ.
იქნება აფხაზეთს გასცქერი,
ქმარ-შვილებს იქიდან მოელი,
უზომო დარდი გაქვს თვალებში,
იტირო,იდარდო რომელი?
იქნებ სამაჩაბლო გეძახის,
კვლავ გელის იქ შენი სახლ-კარი,
ოდესღაც ვარდ-ყვავილს რომ თესდი,
არ დაგხვდეს დანგრეულ-დამწვარი.
იქნებ ოთარაანთ ქვრივი ხარ?
სიმკაცრით და მაინც გულჩვილი,
ეს მკაცრი მოსჩანდი შორიდან,
იყავი თბილი და გულჩვილი.
შენს ნაცვლად სხვის
მშობელს რომ უვლის,
იქნებ იმ ემიგრანტის დედა ხარ?
გტანჯავს შვილის ნახვის სურვილი
და მის მოლოდინში მხნედა ხარ?!
იქნებ სიყვარულმა გიმტყუნა
და წლები ლოდინში გალიე?
თაფლის და შარბათის მაგივრად,
შხამი და ბალღამი დალიე?
მინდა რომ მოგწმინდო ცრემლები
და დარდი გაკმარო ნუგეშით,
ცრემლები თვალებზე კი არა,
ჩაღვრილი ჩუმ-ჩუმად უბეში...
რაიც კი განგებამ გაწამა,
ხაზებად სახეზე გატყვია,
ქალი ნაზიაო ვის უთქვამს,
ნაოჭით ნაკემსი დადიხარ.
ცხოვრებამ ბევრჯერ ძირს დაგაგდო,
შენ მაინც მუხლ-მტკიცედ დადიხარ,
სამყარო რომ გადაარჩინოს,
მწამს, შენ ის ძლიერი ქალი ხ ა რ!

**იზო სარქისიანი.**
ცემი.

## ბორჯომს ყოველმხრივ გამართული სპორტული მოედნები ექნება



ბორჯომში ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული შენობის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს უმაღლესი დონის სტანდარტებს.

რეაბილიტაციის შედეგად მოეწყობა: გასახდელები, საკონფერენციო დარბაზი; ჟურნალისტების, ექიმის, დელეგატების, მსაჯის ოთახები, საშხაპეები და სველი წერტილები, ლიფტები. გადაიხურება ტრიბუნები და ლოჟა. შენობა სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირებისათვის.

პროექტი ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

პლატოზე" ფეხბურთის მოედანის და ჩოგბურთის კორტების მოწყობა აქტიურ ფაზაშია.



პროექტის მიხედვით, ჩოგბურთისა და ფეხბურთის მოედნის გარდა, ასევე, მოეწყობა ფანჩატური, ტრიბუნები, საფეხმავლო ბილიკები, მცირე საყრდენი კედელი, მოაჯირი და საპარკინგე სივრცე.

დამონტაჟდება ტენისის მაგიდა და საპარკე სკამები.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მიმდინარე წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 13 მინი სპორტული სტადიონის რეაბილიტაციაა დაგეგმილი.

## ადამიანები ბორჯომიდან – ისტორია №12






**ლიზი ნატბელაძე**, ბორჯომის ტრენინგ ცენტრის მოსწავლე

**12 აგვისტოს, მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღნიშნა. 10 წელზე მეტია ახალი თაობის ინტერსების, მათი გეგმების და პროექტების მხარდამჭერია კომპანია „ბორჯომი“ და ბორჯომის ტრენინგ-ცენტრი, რომელიც 5000-ზე მეტი მოსწავლისთვის იქცა საყვარელ ადგილად. ჩვენი მოსწავლეები იზრდებიან, დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ, ეს კედლები კი მათ ყოველთვის ბავშვობაში აბრუნებს. „ადამიანები ბორჯომიდან“, პროექტის მე-12 გმირს, უკვე პირველი კურსის სტუდენტს ლიზი ნატბელაძეს გაგაცნობთ.**

- ბორჯომი ჩემთვის ყველა ტკბილ და ბედნიერ მოგონებასთან ასოცირდება, სასწაულია ამ პატარა, მთებს შორის ჩაფლულ, ქალაქს როგორ მარტივად შეუძლია ნებისმიერი ადამიანის გულის მოგება. ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია ის ადგილები, სადაც მე და ჩემი მეგობრები სხვადასხვა თემაზე ვსაუბრობთ და ერთმანეთს ინტერესებს ვუზიარებთ. მათ შორის არის ბორჯომის ტრენინგ ცენტრი - არაფორმალური განათლების კერა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში, ეს ადგილი უკეთესობისკენ ცვლის ახალგაზრდების ცხოვრებას. დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო ჩემს მასწავლებლებზე, მეგობრებზე და იმ დღეებზე, რომლებიც ბორჯომის ტრენინგ ცენტრთან მაკავშირებს. დღეს მე გერმანიაში წასასვლელად ვემზადები, სწავლას პოლიტიკური მეცნიერების მიმართულებით გავაგრძელებ იმ სამი უნივერსიტეტიდან ერთ-ერთში, რომელსაც საბოლოოდ ავირჩევ. ევროპაში განათლების მიღება ბავშვობის ერთ-ერთი ოცნება და მიზანი იყო. ახალი და გამოწვევებით სავსე ეტაპის დასაწყებად მზად ვარ, მიხარია, რომ ირგვლივ ბევრი ადამიანი მყავს, ვინც მხარს მიჭერს და მგულშემატკივრობს.

მეც მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ვიზრუნებ ჩემი ქალაქის განვითარებაზე და უკეთეს მომავალზე. ყველას, ვინც ბორჯომში ჯერ ნამყოფი არ არის, მოვუყვები მინერალურ წყალზე, რომლითაც თითოეული ბორჯომელი ამაყობს. გავაცნობ მთებში ჩაფლული ქალაქის სილამაზეს და აუცილებლად მოვუყვები ბორჯომის ტრენინგ ცენტრზე, რომელიც ჩემს ცხოვრებაში იმ დროს გამოჩნდა, როცა ძალიან მჭირდებოდა სიახლეები და ინტერსების გაფართოება".

**ბორჯომის გულშემატკივარი**
**ნათელა გრიგალაშვილი**

## გამარჯვებულებს მედლები გადაეცათ



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებითა და სასპორტო სკოლის მხარდაჭერით, მაგიდის ჩოგბურთში ჩემპიონატი გაიმართა.

გამარჯვებულებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ გიორგი ტაბატაძემ, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების უფროსმა შალვა გოგოლაძემ და სპორტის სპეციალისტმა თათა ლამბრიანიძემ მედლები, ფულადი პრემიები გადაცეს.

## ცეზარი შველიძის მოსაგონარი



57 წელი აქტიური ცხოვრებით ვიცხოვრეთ ერთად. თანაცხოვრების პირველივე დღეებიდან დაწყებული ერთობლივი, მძიმე და დაუღალავი, შეთანხმებული ცხოვრება სიცოცხლის ბოლო წუთამდე გრძელდებოდა. სამწუხაროდ, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, დროში ვერ ჩავეტიეთ. ბევრი რამ დაგვრჩა დაუსრულებელი, მე კი უშენოდ ძალიან უსუსური აღმოვჩნდი.

ყველგან ერთად ვიყავით, სახლშიც და სამსახურშიც, ჭირსა თუ ლხინში. 2-3 დღის ხანგრძლივობით თუ დაგვიტოვებია ერთმანეთი. ახლა კი 365 დღე გავიდა უშენოდ. რა ძნელი ყოფილა.

იმდენად ჯანმრთელად და მხნედ გამოიყურებოდი, არასდროს მიფიქრია, რომ ეს სამწუხარო, გარდაუვალი განშორების დღე ასე ახლოს იყო. თითქოს ნუგეშია ყველგან რომ მესმის შენს შესახებ, კეთილი, მშრომელი, მოსიყვარულე და უბოროტო კაცი იყოო.

ღვთის მსახურებებს, ლოცვას, სანთელსა და ყვავილებს, რომელიც ძალიან გიყვარდა, არ გაკლებენ შენი შვილები და შვილიშვილები, რათა გაგინათონ და შეგიმსუბუქონ სასუფეველში სავალი გზა. ვიცი, მადედან ილოცებ მათთვის.

მე კი, სანამ აქეთ ვარ, სანთელსა და საკმეველს არ მოგაკლებ.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

**შენი მეუღლე მზია შველიძე.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
მორიგე: რუსუდან სხირტლაძე კორექტორი: ნანა კევლიშვილი